საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ფრაქცია

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

26/02/2024
N 09-02-16/96

96-09-02-16-2-202402261417

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

მთავრობის თავმჯდომარეს

ბატონ თორნიკე რიჟვაძეს

სადეპუტატო კითხვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 126-ე მუხლის შესაბამისად გთხოვთ მიწის ნაკვეთის/ნაკვეთების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 05.30.38.037, ან გაერთიანებამდე არსებული კოდები) აღნაგობის უფლებით გაცემასთან დაკავშირებით:

1. გასხვისებამდე, ხელშეკრულების დადებამდე:
   ა) შ.პ.ს ,,ამბასადორი ბათუმი აილენდ"-ის მიერ წარმოდგენილი წინადადება/წინადადებები, წერილები (დანართებით), რაც საფუძვლად დაედო ხელშეკრულების დადებას;
   ბ) კომპანიის მიერ წარმოდგენილ წინადადებაზე აჭარის ა.რ მთავრობის, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, ქ. ბათუმის მერიის მიერ მომზადებული რეკომენდაცია, დასკვნა, წერილი, რომელიც ინახება თქვენს უწყებაში;
   გ) კომპანიის მიერ წარმოდგენილი, პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები რაც დაედო საფუძვლად ხელშეკრულების დადებას;
   დ) სახელმწიფო ინტერესები, რომლის გამოც მიღებული იქნა გადაწყვეტილება ხელშეკრულების გაფორმებაზე;
   ე) გარემოსთან დაკავშირებით წარმოდგენილი წინადადებები და რეკომენდაციები;
   ვ) კუნძულისა და საჭირო ინფრასტრუქტურის მოსაწყობად საჭირო ინვესტიციის მოცულობა და სამუშაოთა წარმოების გეგმა-გრაფიკი;
2. კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების/შეთანხმების ასელი, მასში შეტანილ ცვლილებებთან ერთად, დანართებთან ერთად. ცვლილებების შესატანად კომპანიის მიერ წარმოდგენილი წერილისა და სხვა დოკუმენტების ასლები;

3. შემოწმებული იქნა თუ არა კომპანია ან მასთან დაკავშირებული პირები არიან თუ არა სანქცირებული დღეის მდგომარეობით? ან მიმდინარეობს თუ არა შესწავლა?
4. ინვესტიციის საერთო მოცულობა, მათ შორის:
   ა) საცხოვრებელი ზონა: მიწის ნაკვეთის მოცულობა, საცხოვრებელი ფართის საერთო მოცულობა, ინვესტიციის საერთო მოცულობა;
   ბ) სასტუმროები: მიწის ნაკვეთის მოცულობა, სასტუმროს ფართები კლასების მიხედვით, ინვესტიციის საერთო მოცულობა;
   გ) ბიზნესცენტრი/საოფისე ფართები: მიწის ნაკვეთის მოცულობა, საცხოვრებელი ფართის საერთო მოცულობა, ინვესტიციის საერთო მოცულობა;
   დ) სავაჭრო ცენტრი: მიწის ნაკვეთის მოცულობა, შენობა-ნაგებობების საერთო ფართი, ინვესტიციის საერთო მოცულობა;
   გ) სამედიცინო დაწესებულებები: მიწის ნაკვეთის მოცულობა, შენობა-ნაგებობების საერთო ფართი, ინვესტიციის საერთო მოცულობა;
   დ) საგანმანათლებლო დაწესებულებები: მიწის ნაკვეთის მოცულობა, შენობა-ნაგებობების ფართის საერთო ფართი, ინვესტიციის საერთო მოცულობა;
   ე) გასართობი ცენტრები: მიწის ნაკვეთის მოცულობა, შენობა-ნაგებობების ფართის საერთო ფართი, ინვესტიციის საერთო მოცულობა;
   ვ) სხვა დანიშნულების ფართების ჩამონათვალი მიწის ნაკვეთის მოცულობასთან, შენობა-ნაგებობების საერთო ფართთან და ინვესტიციის საერთო მოცულობასთან ერთად;
   ზ) სარეკრეაციო ზონა: მიწის ნაკვეთის საერთო მოცულობა;
   თ) პლაჟის ზონა: სიგრძე და სანაპირო/საპლაჟო ზოლის სიფართე;
5. ეს ტერიტორია იქნება ხელმისაწვდომი გადასაადგილებლად ნებისმიერი ადამინისთვის თუ შემუშავდება გადაადგილების/დაშვების წესი/შეზღუდვები? გთხოვთ მიგვითითოთ კომპანიასთან გაფორმებული, შესაბამისი დოკუმენტის პუნქტი, რომელიც ამ საკითხს არეგულირებს;
6. საინვესტიციო ტერიტორიაზე წყლის, კანალიზაციის, ბუნებრივი აირის, ელ. ენერგიის და სხვა საინჟინრო კომუნიკაციების მიყვანისათვის საჭირო ინვესტიციის მოცულობა, საჭირო სიმძლავრეების მოცულობა, ასევე გთხოვთ მიგვითითოთ კომპანიასთან გაფორმებული შესაბამისი დოკუმენტის პუნქტი, რომელიც არეგულირებს კომუნიკაციების მიყვანის ინვესტირებისა და მშენებლობის დასრულების შემდეგ მისი ექსპლუატაციის წესს და რომელი მხარის პასუხისმგებლობაა. აღნიშნულ საკითხზე ხელშეკრულების გაფორმობემადე ან მას შემდეგ მოხდა თუ არა შესაბამის პასუხისმგებელ ორგანიზაციებთან/კომპანიებთან კონსულტაციებისა და მიმოწერის, ასევე მოცულობების დადგენისა და სათანადო რესურსების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები, ამ ორგანიზაციების/კომპანიების მიერ საინვესტიციო ტერიტორიაზე განთავსებული ობიექტების ექსპლუატაცის და მომსახურების მიწოდების შესაძლებლობის დადასტურების დოკუმენტების ასლები;

7. საინვესტიციო ტერიტორიის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით მხარეთა შეთანხმების, მიმოწერის, საექსპერტო დასკვნების და სხვა დოკუმენტების ასლები;
8. ბარცხანისა და თამარის დასახლების მაცხოვრებლებისათვის შენარჩუნდება თუ არა პლაჟი და რამდენი კილომეტრი?
9. კომპანიის მიერ აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში რა უზრუნველყოფის გარანტიებია გათვალისწინებული?
10. კომპანიის მიერ აღებული ვალდებულებებიდან რომელი ვალდებულება ვერ შესრულდა დღემდე და რა სახის სანქციები იქნა გამოყენებული? გთხოვთ ასევე მოგვაწოდოთ სანქციების გამოყენებაზე მირებული გადაწყვეტილებების ასლები;
11. სამუშაოთა წარმოების გეგმა-გრაფიკის ასლი;
12. კუნძულისა და საჭირო ინფრასტრუქტურის მოსაწყობად საჭირო ინვესტიციის მოცულობა;
13. კუნძულის მშენებლობის პროექტისა და მშენებლობის ნებართვის ასლი;
14. უფლების დამადასტურებელი დოკუმენტების(დანართებით) ასლები:
    ა) ბრძანება N1/3-878, დამოწმების თარიღი: 24/12/2021;
    ბ) ბრძანება N1/3-566, დამოწმების თარიღი: 28/07/2021
15. სხვა ნებისმიერი დოკუმენტის ასლი, რომელიც დაკავშირებულია საინვესტიციო ტერიტორიასთან, ინვესტორ კომპანიასთან და ინახება თქვენს უწყებაში;

პატივისცემით,

ელგუჯა ბაგრატიონი

თავმჯდომარე

ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"